



**USAID**  
აშერისადი სალისპანი

ტუბარჯალოზის  
პროცეციის  
პროცეციის

**URC**




საქართველოს  
ფოთიშიაქტრთა და პულმონოლოგთა  
ასოციაცია



პრაქტიკული გზამპვლევი

**ტუბარჯალოზის  
დროული გამოვლანა და მართვა  
ზოგად საეპიდო პრაქტიკაში**

## ტუბერკულოზის საეჭვო შემთხვევის მართვა



განსაზღვრეთ, აქვს თუ არა პაციენტს ტუბერკულოზზე  
საეჭვო კლინიკური ნიშნები:

ფილტვის ტუბერკულოზზე  
საეჭვო კლინიკური ნიშნები

ფილტვგარეშე ტუბერკულოზზე  
საეჭვო ორგანოს ცენტრის  
კლინიკური ნიშნები

ტუბერკულოზისათვის  
დამახასიათებელი ზოგადი  
კლინიკური სიმპტომები

განსაზღვრეთ, მიეკუთვნება თუ არა პაციენტი  
ტუბერკულოზის განვითარების მაღალი რისკის ჯგუფს.

გაითვალისწინეთ სხვა დაავადებები, რომლებსაც მსგავსი კლინიკა ახასიათებს.

ჩაატარეთ შესაბამისი გამოკვლევები, რომლებიც სხვა სავარაუდო დაავადებების  
გამორიცხვის და ტუბერკულოზზე ეჭვის გამყარების საშუალებას მოგცემთ.

თუ კლინიკური სურათი და რისკის დონე ტუბერკულოზზე ეჭვს ბადებს, ამასთან  
სანყისი შეფასება და გამოკვლევები სხვა, მსგავსი სიმპტომებით მიმდინარე  
დაავადებაზე არ მიუთითებს, პაციენტი დაუყოვნებლივ მიმართეთ ფთიზიატრთან.

## ფილტვებარეშე ტუპერკულოზი ხშირად შემძები სახით ვლინდება:

ლოკალური სიმატომებით დაზიანებული  
ორგანოს მიხედვით, გაგალითად:

- ➔ ლიმფური კვანძების გადიდება, ზოგჯერ ჩირქოვანი გამონადენით
- ➔ საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ტუბერკულოზისას სახსრების შეშუპება და ტკივილი
- ➔ ტუბერკულოზური მენინგიტისას (უპირატესად ბავშვებში) თავის ტკივილი, ტემპერატურული რეაქცია, კისრის კუნთების რიგიდობა და ძილიანობა
- ➔ შარდ-სასქესო სისტემის ტუბერკულოზისას ჰემატურია

ზოგადი კლინიკური  
სიმატომებით:

- ➔ წონაში კლება
- ➔ საერთო სისუსტე
- ➔ ტემპერატურული რეაქცია
- ➔ ღამის ოფლიანობა
- ➔ უმადობა

## ფილტვის ტუპერკულოზი საეჭვოა თუ სახეზეა შემდეგი სიმპტომები და ციმები:

### რესპირატორული სიმპტომები:

- 2 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული პროდუქტიული ან არაპროდუქტიული ხველა
- სისხლიანი ხველა
- ტკივილი გულმკერდის არეში
- სუნთქვის გაძნელება

### ზოგადი კლინიკური სიმპტომები:

- წონაში კლება
- საერთო სისუსტე
- ტემპერატურული რეაქცია
- ღამის ოფლიანობა
- უმადობა

## ტუპერკულოზის განვითარების მაღალი რისკის ჯგუფები:

- ➔ მგბ (+) ტუპერკულოზით დაავადებულ პაციენტთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი პირები
- ➔ აივ ინფიცირებულები და შიდსით დაავადებულები
- ➔ იმუნოსუპრესიულ მდგომარეობაში მყოფი პირები
  - ➔ ნარკოტიკული საშუალებების, თამბაქოსა და ალკოჰოლის მომხმარებლები
  - ➔ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტები
  - ➔ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებული პაციენტები
  - ➔ პაციენტები ფსიქიკური პრობლემებით
  - ➔ სხივურ თერაპიაზე, სტეროიდულ, ციტოსტატიკურ მკურნალობაზე მყოფი პაციენტები
  - ➔ პირები წონის დეფიციტით

## **ტურისტულობის განვითარების მაღალი რისკის ჯგუფები:**

- წარსულში ტუბერკულოზით დაავადებული პირები
- სოციალურად დაუცველი ადამიანები
  - იძულებით გადაადგილებული პირები
  - კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მცხოვრები პირები (მოხუცებულთა თავშესაფარი, საერთო საცხოვრებელი და ა.შ.)
  - უსახლკაროები
  - მიგრანტები
- სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირები
- ტუბდაწესებულების პერსონალი

## საციისი შეფასება:

- ყურადღება გაამახვილეთ ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზზე საეჭვო ორგანოსპეციფიკურ და ზოგად კლინიკურ ნიშნებზე;
- ყურადღებით შეფასეთ, ხომ არ მიეკუთვნება პაციენტი ტუბერკულოზის განვითარების რისკ-ჯგუფს;
- ანამნეზის შეკრებისას გაითვალისწინეთ ის დაავადებები, რომლებსაც ტუბერკულოზის მსგავსი კლინიკური მიმდინარეობა ახასიათებს;
- კლინიკურ შეფასებასთან ერთად გამოიყენეთ დამატებითი გამოკვლევები (მაგ. სისხლის საერთო ანალიზი, რენტგენოლოგიური გამოკვლევა და სხვ.), რაც თქვენს ეჭვს ტუბერკულოზზე გაამყარებს ან გააბათილებს;
- თუ საწყისი დიაგნოსტიკური ძიება სხვა დაავადებაზე არ მიუთითებს, ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები სახეზეა და/ან პაციენტი მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნება, ურჩიეთ პაციენტს დაუყოვნებლივ მიმართოს ფთიზიატრს შემდგომი გამოკვლევისა და დიაგნოზის დადასტურებისთვის;
- გახსოვდეთ, ფილტვის ტუბერკულოზის დიაგნოზი დასტურდება მხოლოდ ნახველის ანალიზით. კლინიკური შეფასება და რენტგენოლოგიური გამოკვლევა შესაძლოა ფილტვის პათოლოგიაზე მიუთითებდეს, მაგრამ დიაგნოზის დასადასტურებლად საკმარისი არ არის.

## ფთიზიატრთან მიმართვის ორგანიზება

თუ პაციენტი შეფასდა, როგორც ტუბერკულოზზე საეჭვო შემთხვევა:

→ გააკეთეთ ჩანაწერი სამედიცინო ბარათში და შეავსეთ “ფორმა 100”.

ჩანაწერში მიუთითოთ:

- სპეციფიკური კლინიკური სიმპტომები და ნიშნები
- ტუბერკულოზზე საეჭვო სიმპტომების ხანდაზმულობა (მიუთითოთ კვირები ან თვეები)
- რისკის ჯგუფი
- ჩატარებული გამოკვლევები
- ჩატარებული მკურნალობა

→ დაეხმარეთ დროულად მიმართოს ფთიზიატრს:

- განუმარტეთ, რომ ტუბერკულოზზე საეჭვო შემთხვევებში ფთიზიატრის კონსულტაცია და შემდგომი გამოკვლევები უფასოა;
- დაუწერეთ იმ ფთიზიატრის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, რომელიც მის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოსაა;
- დაურეკეთ პაციენტს და დარწმუნდით, რომ ის ნამდვილად მივიღა ფთიზიატრთან. შეგიძლიათ ინფორმაცია ფთიზიატრთანაც გადაამოწმოთ;
- თუ ერთი კვირის მანძილზე ფთიზიატრმა თავად არ შეგატყობინათ, თქვენ თვითონ მოითხოვთ თქვენი პაციენტის შესახებ ინფორმაცია.

## ტუპერკულოზის გამოხვევის მართვა

D უშუალო

O მათვალყურეობით

T მაურნალობა

საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყვეთ  
ტუპერკულოზით დაავადებული პაციენტის  
უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობის  
(DOT) განხორციელებას

- დაეხმარეთ პაციენტს სრულად დაიცვას ფთიზიატრის მიერ დანიშნული სამკურნალო რეჟიმი;
- შეახსენეთ პაციენტს დროულად მიმართოს ფთიზიატრს დაგეგმილი ვიზიტებისა და გამოკვლევებისათვის;
- გაეცანით ტუპსანინაალმდეგო მედიკამენტების გვერდით მოვლენებს, მათი დროულად გამოვლენის მიზნით. მსუბუქი გვერდითი მოვლენები მართეთ შესაბამისად, ხოლო მძიმე გვერდითი მოვლენების შემთხვევაში უზრუნველყავით რეფერალი ფთიზიატრთან.

## პაციენტის განსცავლა და დამყოლობის გაუმჯობესება

- ➔ მოუსმინეთ პაციენტს ყურადღებით;
- ➔ ეცადეთ, გაიგოთ მისი პრობლემები და საჭიროებები;
- ➔ გამოიჩინეთ მზრუნველი დამოკიდებულება პაციენტის მიმართ;
- ➔ დაეხმარეთ დაავადებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში;
- ➔ შეისწავლეთ მისი ოჯახური და სოციალური მდგომარეობა;
- ➔ ესაუბრეთ და მიეცით დამატებითი საინფორმაციო მასალა ტუბერკულოზის შესახებ;
- ➔ განუმარტეთ, როგორ ხდება ტუბერკულოზის გავრცელება და რამდენად მნიშვნელოვანია ტუბსანინაალმდეგო მკურნალობა;
- ➔ მიაწოდეთ პაციენტს ინფორმაცია ტუბსანინაალმდეგო მედიკამენტებისა და მათი გვერდითი მოვლენების შესახებ;
- ➔ აუხსენით, რომ დროული და სწორი მკურნალობის შემთხვევაში ტუბერკულოზი განკურნებადია.

## ტუპსანინააღმდეგო მედიკამენტები

### I ჯგუფი: I რიგის ორალური ტუბსანინააღმდეგო მედიკამენტები

- იზონიაზიდი H
- რიფამპიცინი R
- ეტამბუტოლი E
- პირაზინამიდი Z

### II ჯგუფი: საინექციო ტუბსანინააღმდეგო მედიკამენტები

- კანამიცინი Km
- ამიკაცინი Am
- კაპრეომიცინი Cm

### III ჯგუფი: ფტორქინოლონები

- ოფლოქსაცინი Ofx
- ლევოფლოქსაცინი Lfx
- მოქსიფლოქსაცინი Mfx

### IV ჯგუფი: ორალური ბაქტერიოსტატიკური მოქმედების მეორე რიგის ტუბსანინააღმდეგო მედიკამენტები

- ეთიონამიდი Eto
- პროთიონამიდი Pto
- ციკლოსერინი Cs
- პარაამინოსალიცილის მჟავა PAS

## I რიგის ორალურ ტუპსანინააღმდეგო მაღიკამათვებზე მსუბუქი გვარდითი მოვლენები

| ნიშნები და<br>სიმპტომები  | გვერდითი მოვლენა                                | მედიკამენტი,<br>რომელიც იწვევს<br>რეაქციას | როგორ მოვიქცეთ გამოვლენის<br>შემთხვევაში?  |
|---|---|--|--|
| შარდის, ცრემლისა<br>და ოფლის<br>მონითალო<br>შეფერილობა  | ორგანიზმის სითხეების<br>შეფერილობის შეცვლა      | რიფამპიცინი                                | <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ასეთი რეაქციების<br/>გამოვლენისთანავე<br/>დაუყოვნებლივ შეატყობინეთ<br/>ფთიზიატრს;</li> </ul>  |
| ზოგი მედიკამენტის<br>(პერიორალური<br>კონტრაცეპტული<br>საშუალებების,<br>კონტრაცეპტული<br>იმპლანტანტების,<br>მეტადონის)<br>ეფექტურობის<br>შემცირება | წამლისმიერი<br>ურთიერთქმედება                   | რიფამპიცინი                                | <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ფთიზიატრთან შეთანხმებით<br/>მიეცით პაციენტს<br/>რეკომენდციები (მაგალითად:<br/>აირჩიოს კონტრაცეფციის სხვა<br/>საშუალება, თავი აარიდოს<br/>მზის სხივების ხანგრძლივ<br/>ზემოქმედებას);</li> <li>✓ განუმარტეთ ავადმყოფს, რომ<br/>მსგავსი რეაქციები დასაშვებია<br/>და მკურნალობა არ უნდა<br/>შეწყვეტოს.</li> </ul> |
| მზის ხშირი<br>დამწვრობები   | კანის მომატებული<br>მგრძნობელობა მზის<br>მიმართ | რიფამპიცინი                                |  |

## I რიგის ორალურ ტუპსანინააღმდეგო მედიკამენტების ძირი გვერდითი მოვლენები

| ნიშნები და სიმპტომები   | გვერდითი მოვლენა        | მედიკამენტი,<br>რომელიც იწვევს<br>რეაქციას | როგორ მოვიყენო<br>გამოვლენის შემთხვევაში?  |
|---|-------------------------|--|--|
| გამონაყარი კანზე  | ალერგია                 | ნებისმიერი<br>მედიკამენტი                  | ✓ სასწრაფოდ<br>შეუწყვიტეთ პაციენტს<br>რეაქციის გამომწვევი<br>მედიკამენტის<br>მიღება და აცნობეთ<br>ფთიზიატრს მისი<br>მდგომარეობის<br>შესახებ; |
| მხედველობის სიმახვილის დაქვეითება<br>მხედველობის ალქმის ბუნდოვანება<br>ფერთა ალქმის დარღვევა  | მხედველობის<br>დარღვევა | ეტამბუტოლი                                 |  |
| ტკივილი მუცლის არეში<br>ლვიძლის ფუნქციის დარღვევა<br>მუქი ფერის შარდი<br>დალლილობის შეგრძნება<br>ცხელება სამი დღე და მეტი<br>გრიპისმაგვარი სინდრომი<br>უმაღლება<br>გულისრევა<br>პირლებინება<br>კანის ან თვალის სკლერის გაყვითლება | ჰეპატიტი                | იზონიაზიდი<br>პირაზინამიდი<br>რიფამპიცინი  | ✓ დაუყოვნებლივ<br>გააგზავნეთ<br>ავადმყოფი<br>ფთიზიატრთან,<br>საჭიროების<br>შემთხვევაში —<br>გადაუდებელი<br>დახმარების<br>სამსახურში.         |

## I რიგის ორალურ ტუპსანინააღმდეგო გადიკანანიშვილი

| ნიშნები და სიმპტომები   | გვერდითი მოვლენა                       | მედიკამენტი,<br>რომელიც<br>იწვევს რეაქციას | როგორ მოვიქცეთ<br>გამოვლენის<br>შემთხვევაში?  |
|---|--|--|---|
| თავბრუსხვევა  | ნეიროტოქსიური<br>მოქმედება             | იზონიაზიდი                                 | <input checked="" type="checkbox"/> სასწრაფოდ<br>შეუწყვიტეთ<br>პაციენტს რეაქციის<br>გამომწვევი<br>მედიკამენტის<br>მიღება და აცნობეთ<br>ფთიზიატრს მისი<br>მდგომარეობის<br>შესახებ; |
| პერიოდული ჩხვლეტის შეგრძნება<br>ფეხისა და ხელის თითებში                   | პერიფერიული<br>ნეიროპათია              |  |   |
| დიარეა<br>პირლებინება<br>მადის დაკარგვა                                   | კუჭ-ნაწლავის<br>ტრაქტის<br>გაღიზიანება | პირაზინამიდი                               | <input checked="" type="checkbox"/> დაუყოვნებლივ<br>გააგზავნეთ<br>ავადმყოფი<br>ფთიზიატრთან,<br>საჭიროების<br>შემთხვევაში —<br>გადაუდებელი<br>დახმარების<br>სამსახურში.            |
| შარდმჟავას მომატებული დონე<br>ტკივილი სახსრებში                           | შარდმჟავას<br>შემცველობის<br>მომატება  |  |   |
| სისხლჩაქცევები<br>სისხლდენები   | სისხლის შედედების<br>დროის დაქვეითება  | რიფამპიცინი                                |   |
| მოძრაობის კოორდინაციის<br>დარღვევა<br>სმენის დაქვეითება<br>ხმაური ყურებში | ოტოტოქსიური<br>მოქმედება               | რიფამპიცინი                                |   |
| თირკმლის ფუნქციის დარღვევა  | ნეფროტოქსიური<br>მოქმედება             |  |   |

**ფინანსურის მოვლენები, საინვესტიციო და ორგანიზაციების  
პარტნერის სტატიკური მოქმედების შესახებ და მიზანის მიზანის შესახებ**

| გვარდიონი მოვლენები                                      | მაღისამაფი  |
|--|---|
| კრუნჩხვები   | ფიკლოსერინი, ფტორქინოლონები   |
| პერიფერიული ნეიროპათია                                   | ფიკლოსერინი, კანამიცინი, ამიკაცინი, კაპრეომიცინი,<br>ეთიონამიდი, ფტორქინოლონები |
| სმენის დაქვეითება და<br>ვესტიბულური დარღვევები           | კანამიცინი, ამიკაცინი, კაპრეომიცინი   |
| ფსიქოზის ნიშნები   | ფიკლოსერინი, ფტორქინოლონები, ეთიონამიდი/პროთიონამიდი                            |
| დეპრესია   | ფიკლოსერინი, ფტორქინოლონები, ეთიონამიდი/პროთიონამიდი                            |
| ჰიპოთირეოზი  | პასი, ეთიონამიდი/პროთიონამიდი   |
| გულისრევა და ლებინება                                    | პასი, ეთიონამიდი/პროთიონამიდი   |
| გასტრიტი   | პასი, ეთიონამიდი/პროთიონამიდი   |
| ჰეპატიტი   | ფტორქინოლონები, პასი, ეთიონამიდი/პროთიონამიდი                                   |
| ნეფროტიკიურობა   | კანამიცინი, ამიკაცინი, კაპრეომიცინი   |
| ელექტროლიტური დისბალანსი<br>(ჰიპოკალემია, ჰიპომაგნიუმია) | კაპრეომიცინი, კანამიცინი, ამიკაცინი   |
| ოპტიკური ნევრიტი   | ეთიონამიდი/პროთიონამიდი   |
| ართრალგია  | ფტორქინოლონები  |

## ინფორმაციული კონტენტი

თუ თქვენს პაციენტს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუდასტურდა ან ამის ალბათობა მაღალია, ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაიცავით შემდეგი მარტივი წესები:

- ნუ ალოდინებთ მას და შეძლებისდაგვარად მალე მიიღეთ;
- ვიზიტისას გაიკეთეთ ნილაბი;
- მიეცით პაციენტს ქირურგიული ნილაბი (იმ შემთხვევაში თუ არ გაქვთ, ქსოვილი ან ერთჯერადი ცხვირსახოცი);
- აუხსენით მას, თუ როგორ დაიცვას ხველის ჰიგიენა;
- ჩართეთ ბაქტერიციდული ნათურა;
- თუ ამინდი შესაბამისია, ვიზიტისას გააღეთ ფანჯარა, ოლონდ დარწმუნდით, რომ პაციენტის მიერ ხველისას გამოფრქვეული ჰაერის ნაკადი თქვენი მიმართულებით არ მოძრაობს;
- ყოველი ვიზიტის შემდეგ, მორიგი პაციენტის მიღებამდე, რამდენიმე წუთით მაინც გაანიავეთ ოთახი.

